მე ვარ პატრიოტი

მე ვარ ილიას სამშობლოდან.

მე აღმაშენებლის, თამარის, შოთას, ვაჟა-ფშაველას, ექვთიმე თაყაიშვილის, ამბროსი ხელაიას, გიორგი მაზნიაშვილის, შინდისის გმირების, გიორგი ანწუხელიძის ქვეყნის შვილი ვარ, ნადიდგორალი, ნაშამქორალი ქვეყნის...

მე ვარ ქართველი და მაშასადამე ვარ ევროპელი!

ვარ ქართველი და ჩემი ქვეყნის პატრიოტი მაგრამ, რატომ ვფიქრობ რომ ვარ?! იყო პატრიოტი ნიშნავს, აწმყოში ისწრაფოდე ქვეყნის განვითარებისაკენ, რამეთუ მომავალი შენია, შენვე უნდა შეეცადო, რომ ივერია ისევ გაბრწყინდეს.

მე მიყვარს ჩემი სამშობლო, ჩემი საქართველო, აღმაშენებლის დროს ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული, მიყვარს აფხაზეთი და სამაჩაბლო, რომელსაც ახლა ასე „სისხლით მივტირით“. მე მიყვარს ჩემი 5 ჯვრიანი დროშა და მისი ყველა წინა მორბედი. მე თაყვანს ვცემ ჩემს ჰიმნს, მე მიყვარს, როცა ამ „გათითოკაცებულ“ ქვეყანაში, ყველა ერთიანდება აი ამ ჰიმნის წინაშე, როდესაც კვარცხლბერგზე გვასახელებენ და არა მარტო ამ დროს. მე ვამაყობ იმით, რომ ქართული დამწერლობა, ერთ-ერთ იმ თოთხმეტ დამწერლობათგანია, შეიძლება ადამიანმა არიცოდეს ჩვენი არსებობის შესახებაც კი, შეიძლება რუკაზეც კი ძლივს მოგვძებნოს, მაგრამ ჩვენი კულტურას და ისტორიას თითო-ოროლა თუ შეედრება. წარმოიდგინეთ კოსმოსშიც კი ქართული „ჩაკრულო“ ისმის, იმაზე რაღა ვთქვა, „უხსოვარი დროიდან“ ქართული ვაზისგან ჩამოსხმულ ღვინოს, მეფეები რო შეეგცეედოდნენ ხოლმე?! აი მე ისიც მიყვარს, მთელი ქვეყანა ერთი ოჯახივით, რომ ვართ შეკრული, ერთის გასაჭირი, ყველას გასაჭირია, როცა სილაღის დროა მაშინაც ვვერთიანდებით, ეს ხდება ახლა და ხდებოდა ადრე. ვამაყობ იმით, რომ ასეთ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, საუკუნეების განმარვლობაში, ტოლს არ ვდევბდით, დაკარგულის დაბრუნებაზე ვიყავით კონცეტრირებული, შევინარჩუნეთ რელიგია, რისი გაკეთებაც ბევრმა ვერ მოახერხა, შევინარჩუნეთ ერთობა და საქართველო, ჩვენი იდენტობა, სამშობლო. ვამაყოფ იმით, რომ ამ „პატარა“ საქართველოში დაბადებულან მთელი კაცობრიობის სამყოფი გმირები. მე მიყვარს ჩემი სამშობლო, თუმცა ილიას სარკეშიც მუდმივად ვიხედები...

საბოლოოდ, შემიძლია ვთქვა, რომ იყო პატრიოტი, მხოლოდ სამხედრო სამსახურს არ ნიშნავს, იყო პატრიოტი ნიშნავს გიყვარდეს შენი სამშობლო ძალიან მაგრად, მისი განვითარებისაკენ ისწრაფოდე და მისი მანკიერ სახესაც თვალებში ჩახედო, რამეთუ არავინ და არაფერი არაა იდეალური, მაშასადამე, „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“

მე ვარ ილიას სამშბლოდან.